

თთუესა აპრილსა :იღ:

იუანლი წმიდისა და ღიღუგულისა
ღიღისა მოწამისა ზოსიმესი*



იინია რად **ზომენტანე** კომიტი
ილიკიას შინათა **ზარგიტიო-**
ნელთა ღმერთთა მიმართ და
ეგულეზოდა მას აღმოსავალად
მიმართებად, მოჰგუარეს მას წმიდად **ზოსიმე**,
რომელსა აქუნდა საყოფელი მისი მათათა შინა
მწეცთა ველურთა თანა. **ზა** არა ხოლო მკვ-
დრობდა მათ თანა, არამედ მზრახველობდაცა
მათ თანა, და იყო მათდა ყოველივე საზოგადო.
ზა ესრეთ ყოვლადვე იქცეოდა მწეცთა თანა და,
უპირატეს ანგელოზებრისა ცხორებისა მცხ-
ოვრებელი, «აღასრულებდა იგი სრბასა» (2ტიმ.
IV,7) წმიდისა **ჰიანნი** ჩათლისმცემელისასა:
«ველურისა ხოლო თაფლისა მჭამელი და ტყა-
ვისა გარემომრტყმელი ნელთა თვსთად» (მთ.
III,4). **ზა** მიმდემად იყო მგალობელი იმრთი-
სად. **ჰოლო** ჩუეულება იყო მისა ლოცვა და
ფსალმუნებად მესამესა ჟამსა დღისასა და მე-
ექუსესა და მეცხრესა და მწუხრ. **ზა** შემდ-
გომად სამწუხროთა გალობათა განუტევებდა
წარსლვად თითოეულსა მწეცთაგანსა თვსთა
ადგილთა მიმართ. **ჰოლო** იგი ღამე ყოველ
აღასრულებდა სამთა ლოცვათა და ეგრეთღა
განისუენებდა. **ზმას** თანა ესრეთ ცხორებად
ანუევედა მას საკრველიცა **ჰლია**, რომელსა მს-
გავსობდა ყორნისა მიერ საზრდელისა შემწყნ-
არებელი და დედაკაცისა მიერ გამოზრდილი
(ჰმეფ. XVII,6,9,10) ამისთვის, რადთა გამოზარდ-
ოს დავრდომილი. **ზგრეთვე** სანატრელიცა ესე
ზოსიმე მწეცთა თანა მკვდრ იყო არა მათთანა
მკვდრობისა მოხარული, არამედ ველურებისა
დაშრეტასა მგულეზელი, და რადთა გამოაჩინოს
თვთ მათ მწეცთაგანცა მონამე **ჰრისტესი**.

II. **ზსე** უკუე **ზოსიმე** **ჰრისტეიანობისათვს**
შესმენილ იქმნა კომიტისა და ბრძანებითა მის-
ითა შეპყრობილი მიიყვანა მისა. **ზინად** მთა-
ვარი დაჯდა რად საყდარსა ზედა **ზნაზარეს**
ქალაქსა შინა, ბრძანა მისა შეყვანებად წმიდისა
ზოსიმესი. **ზა** შეიყვანა რად მისა, მთავარმან
ჰრქუა: «რად გენოდების?» **ზოსიმე** ჰრქუა:

«**ჰრისტეიანე**. **შთავარმან** ჰრქუა: «**ვინადთ-**
გან უწინარესთა შენთა ვერარად ირგეს მაგის
სახელისგან, იტყოდე სახელსა შენსა!» **ხოლო**
მან ჰრქუა: «**ზოსიმე** მეწოდების!» მთავარმან
ჰრქუა: «თქუ უკუე, **ზოსიმე**, ვითარ მკვდრობ
მწეცთა თანა?» **ზოსიმე** ჰრქუა: «**ვითარა?** რად-
თა უკუე იდიდებოდის **ჰრისტე**, რამეთუ აწ
ვიდრემე უკუე ნათესავი კაცთად შეიცვალა,
არა ბუნებითა, არამედ ქცევითა(რომ.I,25). **ზა**
ქმნილ ხართ ყოვლად მწეც, რომელნი ჰმსახ-
ურებთ აგებულსა გარეშე ამგებელისა. **ჰოლო**
ველურნი ცხოველნი, მეცნიერნი იმრთისანი,
იმერთსა ჰმსახურებენ, არა აგებულსა, არამედ
ამგებელსა, და ადიდებენ მას, რამეთუ საღმრ-
თოჲსა **ჰერილისაგან** წინადაწარმეტყუელეზულ
არს მათთვს, ვითარმედ «მწეცნი და ყოველნი
პირუტყუნი ადიდებენ **ღაფალსა**» (ფს.148,10).
ზმის უკუე პირისათვს მწეცთა თანა ვმკვდრ
ვარ». **შთავარმან** ჰრქუა: «**კუალადცა** გეტყვ
შენ: დაცხრომილმან **სულელმეტყუელეზით**
მაგით, მოუწედ და უგე ღმერთთა». **ზოსიმე**
ჰრქუა: «არა გიცნიესა, ვითარმედ «**სულელ-**
ნი სოფლისანი გამოირჩინა იმერთმან, რადთა
გარცხვნოს თქუენ ბრძენთა» (1კორ.I,27)?»

III. **შთავარმან** თქუა: «**ვინადთგან** მაგინებელ
არს ეგე და ლალ და მომპოვნებელ ბოროტთა,
რკინანი განცეცხლებულნი განანონენით ყურ-
თა მისთა». **ჰოლო** წმიდამან **ზოსიმე** ჰრქუა:
«**გაქუს** ჯელმნიფებად სხეულსა ჩემსა ზედა ყო-
ფად, რომელიცა გნებაეს» (2მაკ.VII,16). **ზა** მს-
წრაფლ აღესრულა რად ბრძანებული, მთავარ-
მან ჰრქუა: «**აჰა** სასმენელნი შენნი დააყრუენ,
რადღა ნეშტად, ყოვლად უბადრუკო? მოუხედღა
თუ და უგე ღმერთთა». **ზოსიმე** ჰრქუა: «**დალა-**
ცათუ სასმენელნი გარემენი ჩემნი დააყრუენ,
არამედ გულისა ჩემისათა ვერ უძლო დაყრუე-
ბად, ვინად უკუე ვდგა პასუხისმგებელად შენდა,
განძლიერებული ჩემისა **ჰრისტეს** მიერ». **შთა-**
ვარმან თქუა: «**განაწურვეთ** შვდწილად სიავი
შთამსხმელთა მას შინა მწვრისა და სიმყრალ-

* კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955. გვ. 173-177.

ისათა!» ხოლო აღეტყინა რაჲ სიაჲ და ფოფინებდა, ვითარ მძაფრ მგურგვნალე ქუხილი, შთაგდეს მას შინა წმიდაჲ **ხოსიძე**. ღოლო ესე ყოველნივე რაჲ იქმნეს, არავე შეეხო მას ცეცხლი იგი, რამეთუ მწყალობელმან იმერთმან ქუეშეთ ქუეყანისა ყო გურგვნად და ზეი სიავსა ზედა დაჩრდილებითა წყლოანისა ღრუბლისაჲთა თოვლისა უგრილეს ყო სიაჲ იგი და ეგოდენი მგ ზებარეობად ცეცხლისაჲ დაშრიტა.

IV. ნა ესე რაჲ იქმნა, ჴრისტეშემოსილი იგი მონამე, განრომილი მიერ, გამოვიდა და ჰრქუა მთავარსა: «მსაჯულო ბოროტმსახურო! ჴარწმუნო შენ, ვითარმედ ველურნი ცხოველნი ეშიშვიან იმერთსა, რომელსა თქუენ უარჰყოფთ; გნებავსა, რაჲთა შემოვიდეს ერთი მჯეცთაგანი და მან გარწმუნოს შენ, ვითარმედ: ჴრისტე ძე იმრთისაჲ არს» (მთ. XVI, 16). შთავარმან ჰრქუა: «ჰჰ, ყავ ეგე, რაჲთა იქმნეს, არამედ მე არა დავსცხრე შენ ზედა მოწვენად საპატიჟოჲსა». ნა ბრძანა წმიდისა **ხოსიძესი** თავდალმა დამოკიდებაჲ და ქვისა მობმაჲ ქედსა მისსა. ნა წმიდაჲ **ხოსიძე**, თავდალმა დამოკიდებული და ლოდმობმული, ილოცვიდა მეტყუელი: «**ოფალო** ჴესუ ჴრისტე, ძეო იმრთისა ცხოველისაო, რომლისათჳს ამათ ყოველთა ვიგნებ, ჰენ, **ოფალო**, მოავლინე აქა ერთი ლომთაგანი, მომბერველმან მისდა სულსა მეტყუელებისასა, სარცხენელად სატანაჲსა და მსახურთა მისთა». ღოლო მლოცველობასა ღამისასა შემოვიდა სამსჯავროდ ლომი მბორგალე და მღრჭენელი კბილთაჲ, და მჯდომარეობასა მთავრისასა და ყოვლისა ერისა გარემოჲს მდგომარეობასა არარაჲ ავნო არავის. ნა იხილა რაჲ ლომმან წმიდაჲ **ხოსიძე** თავდალმა დამოკიდებული ლოდითა, წარსრულმან მისა მიმართ და აღმართებულმან ქუეით, იტვრთა ლოდი იგი. ღოლო იხილა რაჲ განწყობილმან ლომი იგი სამსჯავროსა შინა, ივლტოდა, აგრეთვე ყოველი ერი ქალაქისაჲცა წარიტრა. ნა დაშთა მთავარი მხოლოჲ, ვინაჲ იგიცა მეცადინობდა ლტოლვად და ვერ შეუძლო, რამეთუ ლომი, კნინ ჟამ წმიდისა **ხოსიძეს** დამტევებელი, ბჭეთა ზედა მლტოლველსა მთავარსა ეწია და იპყრა იგი სამსჯავროსავე შინა.

V. ღოლო ემზრახვალა ლომი კაცობრივითა ჳმითა მთავარსა, მეტყუელი: «ნუ გეშინინ, მსაჯულო, რამეთუ სიტყვსაგებად მოვედ შენდა, გარნა არა ხოლო შენდა, არამედ **ოფლისა** ჩუენისა ჴესუ ჴრისტეს მიმართ მოსავთადა-

ცა». ნა დამტევებელი მისი საყდარსა ზედა, კუალად წარსრული და აღმმართებელი თავისაჲ, ქუეითალა აღუსუბუქებდა ლოდსა წმიდისა **ხოსიძეს** ქედისაგან. ღოლო ესმა რაჲ განწყობილსა ლომისაჲ, და ეგრეთვე ყოველსა ერსა ქალაქისასა, კაცობრივითა ჳმითა მზრახველისაჲ და რამეთუ არარაჲ ვის ავნო, შეკრბეს ყოველნივე მცირით ვიდრე დიდადმდე დარბაზსა მას შინა. ზუალად იხილა რაჲ მთავარმან ეგოდენი იგი ერი, მდგომარე გარემოჲს, უშიშობისა მიმღებელმან, ესრეთ თქუა წინაშემდგომელთა მიმართ: «გევედრები თქუენ, შემინყალეთ მე და მოაკუდინეთ ლომი ესე!»

VI. ღოლო ლომმან ჰრქუა მთავარსა: «მიითუალელა პასუხისგებაჲ ჩემი, არანმიდაო, და მაშინლა თუ სადმე ბრძანე მოკუდინებაჲ ჩემი, რამეთუ სასოებაჲ მაქუს ჴრისტესთჳს დათხევად სისხლისა მსახურით უფლისაჲთ **ხოსიძესითურთ**». შთავარმან ჰრქუა ლომსა: «პასუხისმგებლობდ!» ლომმან ჰრქუა: «ისწავე მონისა იმრთისა **ხოსიძესგან**, თუ ვინ არს ჴრისტე და მას მხოლოსა თაყუანის-ცემდ!» მთავარმან ჰრქუა: «და შენ რასა იტყჳ, ჳ **ხოსიძე**!» **ხოსიძე** ჰრქუა: «ნათესავისა კაცთაჲსა კაცთმოყუარემან იმერთმან მოავლინა ძე ძჳსი, ქმნილი დედაკაცისაგან და ქმნილი სჯულისა ქუეშე, რაჲთა სჯულსა ქუეშენი მოიყიდნეს და რაჲთა ძედ დადებულებაჲ ჩუენ კუალად უკმოვილოთ» (გალ. IV, 4-5). შთავარმან ჰრქუა: «ძედ იმრთისა იტყჳა ჴუარცუმულსა?» ხოლო ლომმან ჰრქუა: «ჰჰ, ჴომელმან ან მომბერა მე და მომცა სიტყუაჲ აღებასა პირისა ჩემისასა, რაჲთა ვჰმსახურო შას და თქუენ, უმსახურთა შისსა მიმართ, გამხილო; რამეთუ ბუნებით ვიდრემე მჯეც ვარ, ხოლო სახითა ქადაგ». შთავარმან ჰრქუა: «უკუეთუმცა იყო ძე იმრთისაჲ, არამცა განეცა თავი თჳსი ჴუარცუმად და მკუდართა თანა დადებად». ჴომმან ჰრქუა: «ესე ჴუარცუმული სიტყუაჲ არს იმრთისაჲ და, ვითარ მონამან იმრთისამან **ხოსიძე** თქუა, დაემკუდრა ჴალწულისა შორის და იშვა მისგან» და «ყოველნივე ბუნებითნი კაცობრივნი, ვითარცა კაცმან, ქმნნა სჯულსა და წინაჲსწარმეტყუელთა შინათა აღმასრულებელმან» (ლკ. XVIII, 31), ხოლო იგემა სიკუდილიცა და «მესამესა დღესა აღდგა მკუდართაგან დასაბამად შესუენებულთა» (1კორ. XV, 20). ჴამეთუ არა თუმცა ეგემა სიკუდილი, არამცა იყო აღდგომად მკუდართაჲ, და არა თუმცა ესე, ვითარმცა

განსაჯა სოფელი იმერთმან? «რამეთუ უგმს თითოეულსა კაცთაგანსა წინაშე ჴრისტეს საყდართა წარდგომა და სიტყვს მიცემა მისსა მიმართ, რანიცა იგი იმოქმედნა» (რომ. XIV, 12).
 5 ბა მთავარმან ჰრქუა: «ან უკუე ჴუარცუმული იგი სჯისა სოფელსა?» (მთ. XXVI, 28). ზომმან ჰრქუა: «ჰჳ, ვინათგან სისხლი შისი დასთხია სოფლისათვს, «კუალადვე მოვალს ძალთა თანა ანგელოზთაჲსა, ვითარ საჭუმლითა ცეცხლისაჲთა, მიგებად კაცთა, ვითარ სახეცა მოქალაქობედსა» (მთ. XVI, 27, იუდ. I, 14-15).
 შთავარმან თქუა: «ჭეშმარიტებით კეთილ არს რწმუნებაჲ ლომისა მიერ თქუმულთაჲ». ბა ესენი რად ესრეთ ითქუმოდეს, თავდამოქვეით დამოკიდებულ იყო წმიდაჲ **ზოსიმე**, ხოლო ლომი ქუემთ აღუსუბუქებდა ლოდსა ქედისაგან წმიდისა, ვინაჲ ბრძანა მთავარმან შთამოყვანებაჲ წმიდისა **ზოსიმესი**.

VII. ღოლო შთამოყვანებულ იქმნა რად იგი, თქუა მთავრისა მიმართ: «ანლა თუ ირწმუნება ლომისა ამის მიერ თქუმულთა?» და მთავარმან ჰრქუა: «უკუეთუ ჭეშმარიტ არიან, კეთილ არს რწმუნებაჲ ლომისა მიერ თქუმულთაჲ. ღოლო მნებაჲს ამის ლომისა წარვლინებაჲ თვთმპყრობელისა მიმართ, რადთა მანცა ვითარებისაგან საღმრთოთა ამათ სწავლათაჲსა მიიღოს და მისცნეს მას მრჩობლნი სარენაენი». ღოლო წმიდასა **ზოსიმეს** ესმნეს რად ლომისათჳსნი, დადგა და ილოცა და დაჰბეჭდა მას და განუტევა იგი, ვინაჲ მოვიდა. ღოლო ლომი იგი განვიდა ქალაქით არარას ვისი მავნებელი და წარვიდა სავანესა, სადა იყო წმიდაჲ **ზოსიმე**. ბა ახარებდა ველურთა ცხოველთა განტევებულებასა წმიდისა **ზოსიმესსა**, რამეთუ იყვნეს, ვითარცა სამწყსონი, არამქონებელნი მწყემსისანი.

VIII. ჸმისა შემდგომად წმიდამან **ზოსიმე** თქუა მთავრისა მიმართ: «საუნჯე მაქუს სავანესა შინა ჩემსა და, ვიდრელა ვცოცხლობ, მნებაჲს შენდა დატევებად იგი». ღოლო ესმა რად მთავარსა საუნჯისათჳს, მოწლედ შეიწყნარა წმიდაჲ **ზოსიმე**, რეცა საუნჯისა ყოფასა მგონებელმან სავანესა შინა მისსა. ჴინაჲ ბრძანა მის თანა

წარვლინებაჲ **თანასი** კომენტარისიონისაჲ, რომელნი იგი მიიწინეს რად ვანად, იხილნეს ველურნი ცხოველნი, მომავალნი შემთხუევად წმიდისა **ზოსიმესა** და თაყუანის-ცემად მისა, ხოლო სხუანი – რამეთუ აღჰმართებდეს თავთა თჳსთა და ამბორს-უყოფდეს, და სხუანი იატაკად გორვიდეს, წმიდისა **ზოსიმეს** ნაწილთა უღირსმყოფელნი თავთა თჳსთანი. ჴილა რად უკუე კომენტარისიონმან კრძალულებაჲ და
 10 სარწმუნოებაჲ ველურთა ცხოველთაჲ, განცუბრებულ ქმნილი და შეძრწუნებული და შიშითა მრავლითა მოცული, დავარდა ფერჴთა ქუემ მისთა და ევედრებოდა წმიდასა **ზოსიმეს**, მეტყუელი მისდა: «მონაო ჴრისტესო, მრწამს
 15 აფალი ჩუენი ჴესუ ჴრისტე, გარნა ერთსა ხოლო ვეშიშვი – სატანჯველთა მთავრისათა». ღოლო წმიდამან **ზოსიმე** ჰრქუა მას: «ირწმუნე აფალი ჩუენი ჴესუ ჴრისტე, და არა შეგეხოს შენ სატანჯველი». ბა კომენტარისიონმან თქუა: «მრწამს ლომისა მიერ ქადაგებულისა მიმართ». შაშინ წმიდამან **ზოსიმე**, წარმეყვანებელმან
 20 **თანასი** კომენტარისიონისმან, ნათელ-სცა მას სახელისა მიმართ შამისა და ძისა და მ-იდისა სულისა, და განიპყრნა ჴელნი თჳსნი ცად მიმართ და ილოცა, მეტყუელმან: «შამაო აფლისა ჩუენისა ჴესუ ჴრისტესო, გაკურთხევ ჰენ, ჴომელი ჩემდა შემწე იქმენ თავდამოქცევით დამოკიდებულობასა ჩემსა, ჴომელი ქადაგებულ იქმენ ლომისა მიერ, ჴომელმან გამომიჩინე
 25 სხუადცა თანამეუღლე **თანასი** კომენტარისიონი; შენ, იმერთო, მოავლინე ანგელოზი ჰენი და მიითუალენ სულნი ჩუენნი, ნუ სადა სხუათაცა განცდილებათა შთავრდომილთა უარგყოთ ჰენ, ჭეშმარიტი იმერთი». ბა ესე რად მან თქუა, მყის
 30 განიპო კლდე და უპირატეს შეიწყნარა მსახური იმრთისაჲ **ზოსიმე**, მეორედ **თანასი** კომენტარისიონი და მესამედ ლომი იგი. ჴსრეთ რად უკუე ილოცა წმიდამან **ზოსიმე**, შეწყნარებულ იქმნეს სამნივე კლდესა შინა, მაკურთხეველნი
 35 ჴრისტეს, ყოველთა შაცხოვრისანი, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე საუკუნეთა მიმართ საუკუნეთაჲსა. ჸმენ.

